



Х Ⅴ.

№ 9.

გოველკვისაული გაზეთი.

გვირა, 24 ოქტომბერი 1902 წლისა.

Х Ⅵ.

№ 9.

**გაზეთის ფასი:** ერთი ჭიდავისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 გ.; ოფიციალისში გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვეთ 2 მან., თითო ნომერი—15 გზ.

**ხელის-მოწყება:** ოფიციალისში—„წერა-კოთხვის გამტკრ. საზოგადოების“ განცემარიაში და „გვადის“ რედაქციაში, ოქტომბერის ქანი, № 12.

**ფოსტის ძრესი:** თიფლის. რედაქცია „КВАЛИ“.

საუბარი სსეკა-და-სსეკა საგნებზე.

II.

მოვნელი კითხვა.

„რაც უერესა იმ კოთხვას, თუ რა დამტკრებულია ასების (თანამედროვე) საზოგადოებრივ მომრაობისა და ეროვნულ (ნაციონალურ) ფინანსთა შროის, უნდა გამოვტკრეთ, რომ ეს კოთხვა ჩეგნოვის საშინაო არეალ-დარეულია იმ პარტიულ ვრცელი და დამატებით გამოვტკრეთ, რომ ეს კოთხვა ჩეგნოვის საშინაო არეალ-დარეულია იმ პარტიულ ვრცელი და დამატებით გამოვტკრეთ.“

ვერ. ზამხარტი.

ჩეგნი საზოგადოების განსაზღვრულ ნაშილში გავრცელებულია ის აზრი, რომ ვითომო ჩეგნი გაზეთის თანამოაზრენი საერთო უარყოფილ მთელ ეროვნულ კულტურის. ასეთი ცილის-წამება სასაცილო იქნებოდა, რომ იგი სამწუხარო არ იყოს. სხვა რომ აზრი იყოს რა, ასეთი აზრის გასაქარწყლებლათ სრულებით საკმარისი იქნება უზვენოთ ჩეგნი მოძღვრების მიმდევართა მოღვაწეობა ჩეგნ სამშობლო ლიტერატურაში. მეორე მხრით, განა შესაძლებელია ვინმემ, რასაკვარველია, გარდა სულელისა, თქვას, რომ არ არსებობს არც გერმანელი, არც ფრანგი, არც რუსი, არც ქართველი, არც სომები, როგორც ცალკე ეროვნებათა წარმადგენელი, და მათში ეროვნების მხრით არავითარი განსხვავება არ მოიპოვება. ამის თქმა ხომ წმინდა აბსურდი იქნებოდა. მიუხედავთ ამისა, სწორეთ ასეთ შეხედულებას გვანვევენ ჩეგნ თავშე. ჩეგნ ძალაუნებურათ ვრწმუნდებით, რომ ჩეგნი მოწინააღმდევებმა ასეთ სათაკილო იარაღს მიმართეს მხოლოდ იმ გიზნით, რომ ჩეგნოვის აბრუ გაეტეხათ. საჭე ის არის, რომ ჩეგნ თავიდანვე წინააღმდევები ვიყავით და ვართ ეროვნული კითხვის იმ ყალბ ნიადაგზე დაუყენებისა, რომლის გამო მთელი წარსული და თანამედროვე საზოგადოებრივი მოძრაობა, მთელი ისტორია, ეგრეთ წოდებულ ნაციონალურ მოძრაობის ფრთხოა ქვეშ იმალება. მეორე მხრით, სრულებით ვერ მოახერხეს იმის განსაზღვრა, თუ რას შეიცავს ეროვნები, როთ განუყვალებიან თანამედროვე კულტურის დროის ერგბირნ?

**შინაარსი:** საუბარი სსეკა-და-სსეკა საგნებზე, მოსაუბრისა—ღერებული, მარიულები ქადისა.—გრგოლი.—სსეკა-და-სსეკა ამბები.—დილის ნიაგი, დექსი დარია სუნდაისა.—სამუსარ შედეგი, ქ. ნიხოშიდისა.—რუსთას ცხოვრება.—საზოგადო-გარეთ.—წერილი მიუსხენიდან, ქ. პ—ნის.—სამშობლის ცაზე.—გერმანიას სინდიკატები, მ. წ.—ნის.—სამშობლის ცაზე.—გრ. რობაქიძისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—საქედა-მომედი საქმე.—განცხადებანი.

რა საფუძველზე არიან დამყარებული ეგრეთ წოდებული თანამედროვე „ეროვნული“ სახელმწიფონი? ე. ი. ეროვნული იდეა უდევს საფუძვლათ იმათ შინაურ გაერთიანებას, თუ სრულებით სხვა რამ? და ბოლოს საით მიისწრაფვის თანამედროვე საზოგადოებათა განვითარება: ვამჩნევთ ჩეგნ ამ მისწრაფებაში ეროვნულ განკერძოებათა ზრდას, თუ პირიქით ეს უკანასკნელნი თანდათან იშლებიან? ვერც ერთ ამ კითხვაზე ვერავითარ დასაბუთებულ პასუხს თქვენ ვერ მიიღეთ. და უნდა გამოვტყდეთ, ამის მიზეზი მარტო ბურკუაზიული შეხედულება როდი, არამედ უმოავრესათ ის გარემოება, რომ ჩეგნ ჰუბლიცისტებს მეტათ ნაკლები მომზადება აქვთ საზოგადოებრივი კითხვების გარკვევა-განმარტებისათვის. გადავიდეთ საგანზე.

რა არის ერი, რა არის ეროვნება? უმეტესობისათვის ერი და ეროვნება სრულიათ უკანასკნელი, ერთხელ სამუდამოთ განსაზღვრული ცნება, რომელიც შეიცავს თანამედროვე ეროვნებას. მაკრამ ასეთი შეხედულება მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერული კვლევა-ძიების ნიშან-წყალს. ერი ისტორიის ნაწარმოებია. ისტორიას, ე. ი. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცვლილებათ, ქმნინ ნივთიერი პირობები, ანუ ნივთიერი არსებობის ტეხნიკური პირობები. ამის-და კვალათ ეროვნულ ცნებას სხვა-და-სხვა ისტორიულ ხანაში სხვა-და-სხვა შინაარსი აქვს. ველურობის ხანამ არ იყოს ერი; იგი ისახება ეგრეთ წოდებულ ბარბაროსობის დროს. ერის წარმოშობა გამოიწვია ერთი ბერით შერმის განაწილებამ ცალკე თემებში და მეორე მხრით მონადირე თემების მიწის მომუშავე თემებათ გადაქცევამ. პირველყოფილ ტომთა შორის თითქმის გაუშენებარებელი შეტაკება და ბრძოლა არსებობდა. მიწის მომუშავე ხალხს საზოგადოთ ნაკლები დრო ქონდა თავის დაცვისთვის. ამიტომ მახლობელი, მონათესავე, მიწის მომუშავე თემები ერთდებოდენ და მტრების მოგერებას სამხედრო კაცებს ანდობდენ. „ასეთი კავშირი ცალკე თემთა—ამბობს კ. კაუტსკი—სულ უფროდა უფრო მუდმივი ხდებოდა, მისელა-მოსელა მათ შორის უფრო მატულობდა; ამის გამო პატარა თემთა კილო-კავები უფრო და უფრო უახლოვდებოდენ ერთმანეთს, ძლიერდებოდა შეონანების გრძელობა; კალო-კავების ნაცვლათ გამოიდან ნაცვლათ“.

ური ენა და თქმური განკერძოების ნაცვლათ ცენტრალუ-  
რ მთავრობა. აქ ჩვენ უკვე ვხედავთ იმის ჩანასახს, რასაც  
ეროვნების ვუწოდებო” \*). ასეთივე კავშირი შექმნა და  
მოტკიცა ბუნების გამანალებულებელ მოვლენებთან ბრძოლამ,  
უზორც, მაგ., დამბების გაკეთება, სარწყავ მიღების გაყვანა

სხვ. ამგვარები, რაც თხოულობდა ერთი მხრით პატარ-პა-  
რა თემების შეერთებულ ძალას და მეორე მხრით ერთი ცე-  
ნტრალური მთავრობის შექმნას. ასეთები იყენენ, მაგ. აზის  
1880 წელი სამეფონი სა აგრძოვე ფარაონების სამეფო ძევე  
ეგვიპტეში. ყველა ეს სამეფოები ნაციონალური სახელმწიფო-  
ები იყენენ, მხრილოთ ამ სიტყვის არა თანამედროვე მნიშვნე-  
ლობით: ამ სამეფოთ ქონდათ განსაზღვრული ტერიტორია,  
საერთო კულტურა, ზნე-ჩვეულება და უმეტეს შემთხვევაში  
ერთი სახელმწიფო ენაც კი. მაგრამ ისინი თანამედროვე ერე-  
ბიდან არსებითათ განირჩეოდნენ. ძეველი კულტურული სახელ-  
მწიფოები შემდგარი იყვენ პატარ-პატარა უჯრედებიზან — თე-  
შებიდან, რომლებიც მხოლოთ გარეგნობით იყვენ შეკავშირე-  
ბულნი, როგორც ურთიერთშორის, ისე ცენტრალურ მთავრო-  
ბასთან. რაც შეეხება შინაურ ცხოვრების, ამ მხრით თემები  
სრულიათ დამოუკიდებელი იყენენ: თემის ყოველგვარი მო-  
თხოვნილება მისავე საზღვრებში კმაყოფილდებოდა. პოლიტი-  
კა და მოქალაქეობრივ უფლებაზე ლაპარაკი ამ ღროს ყოვ-  
ლად შეუძლებელია. ეს იყო საერთო თანასწორობა, რომე-  
ლიც იმავე ღროს საერთო მონიბას მოასწავებდა. ასეთი ურ-  
თიერთობა იყო პირდაპირი შედეგი საჭარმოვი ძალით მდგო-  
მარებისა. ალებ-მიცემობა იქ ვერ განვითარდა იმ ხარისხსამდე,  
რომ თემური კარჩაკეტილობა დაერღვია ან შეესუსტებია მაინც  
რამდენიმეთ. ეს მოხდა რამდენიმეთ ძეველ კლასიკურ საბერ-  
ძნითში. ალებ-მიცემობის განვითარებამ თითქმის სრულებით  
შესპონ ძეველი საბერძნების თემებში კარჩაკეტილობა და უმა-  
ლესი ალყავების რჩოს მისი მოქალაქენი ერთი გრძნობით  
გამსჭვალულ ერს წარმოადგენდნ. მაგრამ ამს თან დაყვა მე-  
ორე გარემობა, იმდენათვე სამწუხარო, რამდენათც აუცი-  
ლებელი. ჩვენ ვამზობთ მონიბაზე. ძეველი საბერძნების ერს  
შედეგენდნ შეხვერდოთ თავისუფალი მოქალაქენი, რომელთა ხე-  
ლში შეგროვები იყო ყოველგვარი ქანება და ალებ-მიცემო-  
ბა. მოქალაქეთათვის ყოველგვარი ფიზიკური შრომა სათაკი-  
ლოთ იყო ალიანსული. შრომის ულელში შებმული იყენ  
შენება, და ეს ამ უკანასწერო აწვათ კასერზე მთელი თავისი  
სიმძიმით. რაც ღრი მიღიოთა, მოქალაქეთ სულ უფრო და  
უფრო ცილებოდან ხელიდან სიმღიდე, ე. ი. საშუალება,  
რომ სხვის თულით ეცხოვათ, და რადგანაც შრომა მათ  
ეთაკილებოდათ, ამიტომ ისინი უნდა დაცემულიყვნენ და განა-  
დგურებულიყვნენ, რაც მართლა ჩქარა მოხდა. ესვე გან-  
მეორდა მიახლოვებით ძეველ რომშია.

ახალ ეროვნებათ ალემენტები ისევ ძეველმა ისტორიაშ  
გვიანდება; მაგრამ ახალი ერები განვდენ და გაიზარდენ სულ  
სხვა პირობებში. მე-IV-V საუკუნეებში ქრ. შემდეგ თანამე-  
დროვე ევროპის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მის დასა-  
ვლეთ ნაწილში სხვა-და-სხვა ხალხთა და ტომთა ისერთ არევ-  
დარევა, შეტაკება, შემრაობა და სისხლის დრო მო-  
ხდა, რომ ამის შეგავის ჯერ არ ასხვეს კაცობრიობას. აღმო-  
სავლეთი აზის მოსისარი ხალხი, გარბაროს ვერმანელთა  
სხვა-და-სხვა ტომნი და იტალიის ხალხი ერთმანეთს ებ-  
რძოდენ, აკლავდენ თავს და, სადაც გაივლიდენ, თითქმის ქვას  
შვაზედაც დარ ტოვებდენ. ხანგრძლივი მოუსვენარობის, წე-  
რვა-ულების და დაუზოგველი სისხლის ლვრის შემდეგ, ქვეყა-

ნა ისევ დაწყნარდა, რასაკვირველია, შედარებით, ხალხი მიიწ-  
ოდი და ჩადგა. ძეველი ძევენის ნანგრევებზე ჭრულ ცუხუ-  
რება უნდა იღმოუკენებულიყო. ეს პროცესი დაგვალების სატორია, ე-  
რელდა, და იგი იპყრობს ფერდალიზმის სრულ ისტორიას, ე-  
ს. მის წარმოშობას, განვითარებას და დამხმაბას. ფერდალური  
წყაბილება ხელს უშლიდა გაერთიანებას, პირიქით, იგინიშნა-  
ვდა განკერძოებას და კარჩაკეტილობას; თითოეული კუთხი  
თავისთვის ცხოვრობდა, თავისი ბატონი ყავდა; საშუალო საუ-  
კუნოების ევროპაში არ იცის აზის ძეველ სამეფოთა მხგავსი სა-  
ხელმწიფო. კარლოს დიდის იმპერიამ მხოლოდ რამდენსამე წე-  
ლიწადს გასტანა, რადგანაც სრულებით ხელოვნურათ იყო შე-  
ქმნილი და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არავითარი ნიადაგი  
არ ქონდა. ხალხის ცხოვრებაში ეკონომიკურ ერთეულს შეა-  
დგენდა მიწის მომუშავე თემი—მარკა. ეროვნული გაერთია-  
ნება ამ ნიადაგზე შეუძლებელი იყო, რადგანაც ფერდალური  
წეს-წყობალება ამას ხელს უშლიდა. მაგრამ საშუალო საუკუ-  
ნოების განმავლობაში, მიახლოვებით მეათე საუკუნიდან, ევ-  
როპაში, უწინარეს ყოვლისა იტალიაში, გაჩნდენ ქალაქები,  
რომელთაც, უსტეველია, ბევრი რამ ქონდათ შენარჩენი რო-  
მის იმპერიის დროდან. საშუალო საუკუნეების მეორე ნახევა-  
რში, ხელოსნურ წარმოებას და იღებ-მიცემობას დიდი წარმა-  
ტება დაეტყო. უწინარეს ყოვლისა განვითარდა მიმოსვლ  
და აღებ-მიცემობა შარეულ ქვეყნებთან, ასე რომ სხვა-და-სხვა  
ქალაქების წარმომადგენელნი შეეჯახენ ერთანეთს უცხო  
ბაზარზე. აქედან იწყება იმათი მოცილეობა. ბაზარზე გამარ-  
ჯვების თუ დამარტებას უაღრ ესი შენშენელობა ქონდა თევი  
ქალაქისთვის. იმარჯვებდა, რასაკეტილებია, იმ ქალაქის წარ-  
მომადგენელი, რომელიც უფრო მდიდარი და ძლიერი იყო  
«მშაირათ—როგორც ამბობს კაუცისი—ვაჭრული ინტერესები,  
გარდაიქცენ ეროვნულ ინტერესებათ” \*). მაგრამ თავი და  
თავი საქმე ის იყო, რომ ქალაქის აღებ-მიცემობამ თანდათან  
ჩაითრია მიწის მომუშავე თემიც. სანამ ეს უკანასკნელი ეკო-  
ნომიურათ დამოუკიდებელ ერთეულს წარმომადგენდა და მასში  
საქონლის სავიროება არ იყო განვითარებული, იგი სრულე-  
ბით მოწვევტილი იყო ეროვნულ ცხოვრებას. მაგრამ საგარეო  
აღებ-მიცემობამ გამოიწვია შანაური აღებ-მიცემობა. საშუალო  
საუკუნეების თემაც მოყვა საქონლის ტრიალის მორევში. ამ-  
ნარათ აღებ-მიცემობამ დაუკავშირა ერთმანეთს წინანდელი  
კარჩაკეტილი თემები, დაბადა მათში საერთო გრძნობა. ამ გა-  
რემოებათა მეობებით ქალაქებმა, სადაც ვაჭრობა და ხელოს-  
ნობა გაიძლებული იყო, დიდი ძალა და გავლენა მოიპოვეს.  
მეფებმა მიმართეს იმათ თავის ურჩ ფერდალების თვითნებო-  
ბის და თავისაულობის ასალაგმათ. ქალაქებმა აღმოუჩინეს  
მათ ამ ძხრით დიდა დახმარება. მიახლოვებით XV საუკუნიდან  
იწყება ევროპაში კაპიტალისტური წარმოების ხანა. საგარეო  
და საშინაო აღებ-მიცემობის განვითარებაც აუცილებლათ გა-  
ხა-და წარმოების უფრო ფართო ნიადაგზე დაყენება, ვინემ ამას  
ხელოვნური, ამერიკული სისტემა წარმომადგენდა. ყოველივე ეს  
ძირის უთხრიდა ფერდალურ, ვიწრო კარჩაკეტილ საზოგადო-  
ებათ, და ნიადაგს უზრადებდა ფართო, ეროვნულ ნიადაგზე  
გაერთიანებულ საზოგადოებათ. აი ის ნიადაგი, რომელზედაც  
აღმოცენდენ და განვითარდენ თანამედროვე ეროვნებანი. რო-  
გორც ხედით, ეს ის ნიადაგია, საიდანაც წარმოდგა თანამე-  
დროვე ბურჟუაზიული წეს-წყობილება; თანამედროვე ერი ბუ-  
რჟუაზიის პირმში შეიალია. ყველა იმ ქვეყნებში, სადაც გა-  
ძლიერდა დაურეულებული და პირქვებული ფერდალური წეს-  
წყობილება, იქ გაძლიერდა ეროვნებაც. დასავლეთ ევროპას ერ-  
თა ისტორიის თეალის გადავლება ამ უკანასკნელი სამი-ოთხი  
საუკუნის განმავლობაში ამას აშეართ ყოფილება.

\*). ე. კუტაშვილი. ჩვენ 109. არა

ზემო ნათქვამიღან ჩანს, თუ სად და ოროორ გაჩნდათ  
ნამედროვე ეროვნება. მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ ის საყუ-  
რადლებო გარემოება, რომ თანამედროვე ეროვნება ბევრათ  
უფრო ფართო ცნებაა, ვინემ წინანდელ დროთა. ამის  
მიზები თვით ბურჯუაზიული საზოგადოების წეს-წყობილე-  
ბაში უნდა ვეძიოთ. ბურჯუაზიამ მოსპო ყაველვების  
პრივილეგიები, მან აღიარა აღაშიანი თავისუფლათ, იური-  
დიულათ გახადა იგი თავისი შრომის ბატონათ, ე. ი. თავის  
დროშაზე ბურჯუაზიამ წაწერა: თანასწორობა და თავისუფ-  
ლება. აქედან გამოწევული მოძრაობა ფართო მოედა ხალხი,  
ასე რომ ეროვნული ცხოვრების მონაწილე უბრალო ხალხის  
უმრავლესობა შეიქნა. წინანდელ დროში ეს არ იყო. ჩვენი  
დროის ეროვნება ყველა ურალი დემოკრატიულ მოვლენას  
წარმოადგენს. ზოგიერთი მწერალი მხელოთ ამას ხედავს მთელ  
თანამედროვე ცხოვრებაში. მისთვის დემოკრატია და ეროვნე-  
ბა წარმოადგენენ იმ მთავარ ძალას, რომელიც ამოძრავებს  
მთელ თანამედროვე საზოგადოებას. ეს პირები ერთხელაც არ  
დაუფიქრდებიან იმას, თუ საიდან მომდინარეობს ან ერთი და  
ან მეორე. ჩვენთვის საჭიროა გავიგოთ, თუ საიდან მომდინა-  
რეობს თანამედროვე დემოკრატიული მოძრაობა, და არა და-  
მოკრატიზმის და ნაციონალიზმის შეუღლება...  
ე. საიგნა.

605605080.

♦ Հարց լուսաբառ.

ამ დღეებში შპრიუში გადაიცვალა ცნობილი სიტროზოლოგი ქარლ დეტრინი. ამ შეტათ ბურთ სწავლულის მწერლობითი მო-  
დვაწებას ძალიან ხელითი იყო და ის სიცოცხლეში ბეჭრი  
კუნთავთვიული გამოკვლევა დასწერა აა გამოსვლენა. უასასხველ  
ხანგბშიაც, მიუხედავათ მთხუცებულობის (71 წლის გარდაიცვალა),  
მნექო იღვიოდა და საზოგადოებრივ შეცნიერების ახალ-ახალ გამო-  
კვლეულით მდიდრებდა\*).

დუღუნო იერ ესრეტ-წადებულ ეტნოგრაფიულ სკოლის წარმომადგენერალი სოციოლოგიაში. ეკედა თავისი ნძელებით იგი ცდილობდა, რომ სხვა-და-სხვა საფრთხო ჟესტები გრინოვაზიული ფაქტები მოვალეათ მოუგროვებია და მათი ასე თუ ისე სისტემაში მოვასხია სოციოლოგიისთვის მკითხვა, ფაქტებზე აგებული, საფუძველი მარტივი. „უბირეობულ ყოფილის, — ამბობს იგი ერთ თავის წიგნში, — საჭიროა ბევრ სამდვილ და შეუცდომლეთ აღნუსხულ მასალის შეგროვება. შემდეგ ეს მასალები უნდა გადაიჩეს, დაიწუთ და სისტემაში მოვასხილ იქნეს. და, ა, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი დასკვნების გამოყენა, წარსულში მომხდარ მოვლენათა დამოკიდებულების შეგნება და მომავალ განვითარების დასახვა. ამ დიდ მომზადებითი შრომის დასრულებას აღნათ საუკუნეები მოუნდება, მაგრამ რა გაეწეობა, — უამისოთ მეცნიერებულ სოციოლოგიის შექმნის იმული ფუნქცი იქნება. ეს არის სამდვილი მეცნიერული გზა. იგი თუმცა კრებული და მნელია, მაგრამ, სამაგისტრო, მაზართხ მიერას მხოლოდ მას შემდლია“.

გადოთ საინტერესოა, მაგრამ... წიგნის გადაკითხვის შემდეგ, თავი  
ში ბეჭრი არა გრჩებათ-რა. ხუთას გვერდიან წიგნშია აუტორი სულ  
სერევასვათ გაურით ფაქტებს, ასე რომ ბოლოს ჟურნალისტის აზე

შხვდოთ ევლგან ერთხანრათ სუსტი არ არის იგი ფაქტითა  
ახსნა-გამჭარტების მხრით. ღეტურნის თითოეულ წიგნში არის ხოლ-  
მე განეთვილება, საც ავტორს სხვა-და-სხვა მოვლენანი საფუძვლი-  
ანათ აქვს გაშუქებული. ეს არის ჩვეულებრივი ის განეთვილება, საცა  
ავტორი ბიოლოგიურ საგნეზზე მოგვიახლობს და მათ განმარტება-  
შიაც ბიოლოგიის კანონებით სელმიდვნებლობს. აქ არა თუ გესტით  
მარტო მოვლენათა აღნებსხვა, არამედ იგიპო კადეც შათ ერთმანე-  
თისგან დამრაიდებულებას. მაგრამ როგორც კი მიღება საქმე იშ-  
პრიოდებზე, როცა ისტორიული ცხოვრება დაწესებულა და, მაშისა-  
დამე, საზოგადოებრცევი ურთიერთობანიც გართულებულან, — სურათი  
იცვლება და ღეტურნის გამოკვლევა უფრო ფაქტითა პრებულის სახეს  
იღებს.

ჩექნ გვგრია, რომ ეს ნაკლი, სხვათა შორის, დეტურნოს წერის მანერისგანაც გარმდინარების. იგი ღებს, ჩვეულებრივ, გაცობრითის ზოგიერთ ჟღულურულ მხარებს, მაც., ზექდას, ქორწინებას, გაჭრობას და სხვ., და იკვლევს ცალ-ცალებს მათ შედოლეცას. იმ პერიოდში, როცა ადამიათია ცხოვრება მარტივია და ცხოველების ცხოვრებისგან ცოტათ განირჩება, ამ მხარეების ასესა და მათი მიზეზების განმარტება შედარებით უფრო აღილა. სუდ სხვაა იმ პერიოდში, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება წინ, წასულა და გაროულებულა. აქ ერთი რომელიმე მხარის გამოგდება და მისი სხვებთან შეუფარებელათ გვლევა-ძიება მოუხერხებელია. ავიღოთ მაგალითი. ცნობილი იყენება, რომ ქვედათ საღწევში, როცა აღებიცემისა არ იყო გაურცელებული, გაჭრობა სასირცხვო სეჭრიბთ ითვლებოდა. ეს იყო მაშინდედო შეხედულება. დღეს გეძავო, რომ განვითარებულ ერბეში გაჭრობა ძალიას საბატიო სელობათაც ითვლება. აქ სუდ სხვა შეხედულება, ქვედუშურის სრულიათ წინააღმდეგი. ღერიულნო ამ მოვლენას მიახლოებით ასე ახსნის: ქვედათ არ იყო აღებ-მიცემისა და ადამიანის გრძებაც არ იყო შემცემული გაჭრულ განწყობილებას ცხოვრებაშიც. მას ის მახნდა გარგათ, რასაც შეჩვეული იყოვთ. შემდეგ განვითარდა გაჭრობა, ადამიანის გრძებაც შეეჩვა ასეთ მოვლენას და ამიტომ გაჭრობაში სასირცხვოს აღარა ფერს ხედავსო. ეს განმარტება სრული სიმართლეა. მაგრამ თუ ჩაუყვარდებით, ნახვთ, რომ იგი საგმარისი არ არის. ამით თქვენ ვერ იგინო მაინც სესხებულ შეხედულების შეცვლის გენეზის. სრული გმენზისი იქნება მაშინ, როცა ავტორი გაარცევს ქვედათ აღებ-მიცემისის არ-არსებობის მიზეზებს, შემდეგ ეგონომიურ გარ-ჩაგრებობის დაღვევის შროცებს და საზოგადოებაში შრომის განსწილების მნიშვნელობას. მაშინ სათელი იქნება, რამ აა გამოიწვია და როგორ გამოიწვია, როგორც ხედავთ, აქ თრი სხვა-და-სხვა მოვლენა ერთმანეთთანაა დაგამირუბული, და რომ ერთის განვითარების

ଶର୍କରୁଙ୍ଗେର ଶ୍ରୀଗନ୍ଧିତ, ଅମିଳଟାଙ୍ଗିଲ ସାଫ୍ଟିରକ ପ୍ରେରଣାକୁ ପରିଚାରିତ କରିଛନ୍ତି।

მაგრამ სამართლიანობას მოიხსოვს ვთქვათ, რომ თვით დეტურის არას დროს არ ჰქნია სოციოლიტგიურ „კანონების“ აღმოჩენის „პრეტენზიები“. იგი ხშირად ირჩნათ ისსესიებს იმ შეკრულებს, რომლებიც თავისთ ნაწერებში სოციოლიტგიას „ურიცხვ კანონებზე“-და დამარაკობენ. მისი აზრით, ჯერ სოციოლიტგის მასაფლები იძლენი არაა მცირდებული, რომ სოციოლიტგიურ კანონების აღმოჩენაზე ფიქრი შესაძლებელი იყოს. და თუ თავის კამთვალებებში მი აქვ-იქ ფაქტთა ზოგად სასიათის განმარტებას იძლევა, ამას იგრ თავის შირად შესვეულებათ სოფლის და სოუზისთაც შეცნიურულ ჭიშმარიტებათ არ მიაჩნია.

პარიუელი ქალი.

603. 816. გოგოლი\*)

(19 दिसंबर 1809—21 अगस्त 1852 वर्ष).

კასულ ხეთშიბათს რესერვმა იღდესასწაულდა 50 წლის შესრულებას თავის გამოჩენილ მწერლის გოგოლის გარდაცვალების შემდეგ. სწორეთ ერთის შეარის წის სტორანგზომა და მსოსხს მოქადა კაცობრითამ გადაიხდა ჭ. ჟოგოს დაბადების ას წლის ოქტომბერ-უნგვირისთვის: დარიგი დაშავის კრისტიანის მარ მწერლის გრიგორი და ივო მეტროდების მწერლი, იგი არამც-თუ აგიოწერდა დღევანდებულების დახარულების განვითარების უძრავოთ დასჯიდ შირბის, ივებების მათდამი თანაგრძნებას, არამც მსოსხეულ გვიგებების უპოვე მომსახულის იღებების, გვისტევდა მა მომსახულისთვის მეტროდ იღებულ ტიბებს; კადევ მეტი: ჟოგო თავათ შრატი იუსტულ მოდგაწყვეტილების მაშინ იძროდა ასეულ უნგვირის—სამართლადას ურთიერთობის დასამტკრებლად.

გოგოლი კი იქ შევიდა, წესარი მურადი. როგორც დიდის  
ნიჭის ბატონი, იგი სავსებით ხატავდა თავის დროის ცხოვრების  
სისამძვიდებელს. გოგოლის არ ქონდა საზოგადოებრივი იღვალვა. რო-  
გორც მოჟღავს, იგი კანსეკრაციონი იქ, მს არ დაუსაცავს ერთ-  
იდევსლური ბარი, რომელიც მიგვიზიადვდებს და მიგვიწვდებს წინ-  
სედასაც. მხალეოთ თავისდაუნებულათ, ისტოიქტოურათ შექმნა გა-  
გლილი სტრიაფურ მურდათ: ხატავდა თანამედროვე საზოგადოების  
გასრწინილებას, გარევნილობისას და ამით აქვებდა თანამებამულებრივ უკუ-  
თაჭა მერმასისადმი.

ତରମ୍ବ କଥିନ୍ଦ୍ରିୟରେ ମୁହଁକ୍ଷେପିତ୍ତ ପରିପାଲନ କୁଳକଣ୍ଠରେ କାହାରେ — କଥିନ୍ଦ୍ରିୟରେ „ରୂପିତ୍ତରେ” ଏବଂ କଥିନ୍ଦ୍ରିୟରେ „ମୁହଁକ୍ଷେପିତ୍ତ କୁଳକଣ୍ଠରେ”

როდია მთხელეების ცხოვრება. როგორია ეს ცხოვრება? მთხელეები  
ურთმანეთს ატევილებენ, უქრთაშოთ არაფერს სკეთებენ, ცალკევენ  
ხეზინს, არავითარი წარმოდგენს არა აქვთ გასხვზული და უძრავი დასახუ-  
ბაზე, ადამიანის ბირთვებისა და მისდამი ბატივის-ტემპი, რაც სა-  
ქმე გი აპარათ, უველგან უწესოება და უსამართლოთა, დახსაცუ-  
ლობისაგან თავის განსხვათებისუფლებლათ ერთი-და იარაღი მისწიათ  
— მთხელევა... ასეთები არიან მმართველი.

მცხოვრებლები? მასზე შასუქს იძლევა „მგდარი სულები“. თავად-აზნაურობაში არას მხოლოდ ჩინვალურისთანა გაიძეგული, ხოზადრიოგისთანა და საბა პეტიონთანა თავად-აშებული, უზნეო მცარცემებული, სულელ მძინალოვისთანა არაფრის მგეთებელი, ბლიუშენისთანა უფლებულ ადამიანურ გრძელებას მოკლებული მასწინებები... გლეხ-გაცობა? მაკამ მაზე დამარავი ღირს? იგი არ არსებობს, ცხვრებას მოკლებულია! გლეხები „მგდარი სულები“ არიან!

ვიმეროებთ: გთვალს გამორკეული არ ქონდა საზოგადოებრივი ღდეადა, არ ქონდა წარმოდგენილი ის ხაუთი, რომელიც მოაიტანა მისმა საწერებმა; მიუხედავათ ამისა, უნდღიერ დაუფრქვებული სამსახური გაუწია თავის სამშობლოს: იგი იყო ღილებული მსატეარი და მსიმა წინამობარები მესამოცუ წლების რეფორმებისა!

თანამედროვე კარგზო ქსმლით გდგრდლის საწყების შიამებულობა. „რეგისტრი“ ნება-დართული იქნა წარმოსადგენათ მხოლოდ იმპერატორ ნიკოლაზ II-ის განკარგულებით. „მკვდარ სულების“ დაბეჭდის ნებართვა მხოლოდ გრგოლის მეგობრების გაფლენის შემწევით შეიქმნა შესძლებელი. გოგოლის გრლაციალების შემდეგ კარგ ხანის აკრძალული იყო მასე დაბარავი მწერლობაში. მას თხზულებათა კრებულის გამოცემა 1851 წ. დაწესება, მაგრამ გარეშე მაზეზებისა გამო მხოლოდ 4—5 წლის შემდეგ დასმიავრცეს...

## სხვა-და-სხვა ამბები

მარტის ოქს, შაფათს ქართველ-კათოლიკება დათხი  
მშებლის მიძინების ეკლესიაში გადახდილ იქნება დაბადების  
ასი წლის თავის წირვა და პანაშეკიდი საქართველოს განსვე-  
ნებულის ისტორიკოს-არქეოლოგის მარი ბროსეს სულის მო-  
სხეს ენგქლათ. წირვა დაიწყება დილის ოერთმეტ საათზე.

ჩეილმეტ თებერვალს, ქვაშეეთის წმინდა გიორგის ცკლე-  
სიაში გაღახდილ იქმნა წირვა და პანაშვილი განსვენებულის  
მფლობელის რ. ერისთავის სულის მოსახსენებლათ. ხალხი დიდ-  
ძალი დაესწრო.

ქართულ დრამატიულ სახოგადოების გამგეობამ გადაწყვიტა, ქართულის სცენის არტისტის ვ. ა. აბაშიძის 25 წლის სასცენო მოღვაწეობა იდლებსა წაულოს ამ წლის 10 მარტს. გამგეობა, აცხადებს რა ამას საყოველთაოა, სთხოვს იმათ, ვისაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ამ დღე ასწაულში, მიმართონ ხსენებულ გამგეობას და წინდაწინვე ანონონ თავი ნთი სურვილი.

თავიდან აზნაურთა ქარევასლა, დრამატიულ საზოგადოების  
კანტორა.

უფროსი საუბერნიო საფაზრიკო ინსპექტორი 15 თბე-  
რვლიდან შეუდგა საფაზრიკო საქმეების მოწყობას, რათა ოფი-  
ლისში შემოღებულ იქნას საფაზრიკო ინსპექცია.

თუ ილისის პოლიცეისტერმა წარუდგინა გუბერნატორს  
პროექტი და შეაძლეომლობა, რომ მოუმატონ პოლიციის მო-

\*) უფრო ვრცლავ გოგოლის შესახებ იხილეთ გასული წლის „კვერცის“ № 22.

ხელვა რაცხვს და მისთანავე დაწესდეს სათადარიკო პოლი-  
ცის. მოხელეთა რაზმი. იმ პროექტით პოლიციურისტები თხო-  
ულობს უბნის ზედამხედველების მომატებას და ავრეთვე და-  
ბალ მოხელეებისას.

პოლიციის ცნობებით, თვილისში ამ უამათ 2118 მდე  
ზოდეა.

ქალაქის საგაჭრო-საცეურნეო პოლიციის უფროსმა ზედა-  
მხდელებმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის თეით-მართველო-  
ბის წინაშე, რომ დაწესდეს საქალაქო კანტორა გასაგზავნ ბი-  
ჭებისა სალდათის ბაზარში.

ଓঁ. এইস্তিস্তুতি সাক্ষণ্য প্রদর্শন করা হচ্ছে আবশ্যিক সময়ের অন্তর্ভুক্ত একটি বিনামূল প্রক্রিয়া। এই প্রক্রিয়াটি সাক্ষণ্য প্রদর্শন করা হচ্ছে আবশ্যিক সময়ের অন্তর্ভুক্ত একটি বিনামূল প্রক্রিয়া।

მილანიდან სწერენ გაზ. „ც. ფ.“-ს: „მეაბრეშუმეობის ნაწარმოებზე ამ ბოლო დროს ფასებმა შესაბამის გვათ ისტია: ჩვენებური გამხმარი პირველი ხარისხის პარკი იქ ამ ეამათ ფასობს კილოვრამი (2 $\frac{1}{2}$  გრ.) 9,40 და 9 ფრ. ნეკვი; მეორე ხარისხის – 80,80 და 8,7 ფრანგულდე – ასე რამ ეჭით ფუთ პირველ ხარისხის პარკს მუზექს 60 პ.ნ. მეტი. ხოლო მურაქს – 56 მან. 30 კპ. ჩვენ მეაბრეშუმეოთა ამხანაგობების პარკი გაგზავნილია ლიონში 3,000 ფუთამდე და, როგორც გვატყობინებენ, უმეტესი ნაწილი კიდევ გაყიდულა“.

„ჩერნოვ. ვესტნიკის“ სიტყვით, ქუთაისის საგუბერნიო  
ადმინისტრაციას სთხოვენ ნებას ონში რაჭის მემამულეთა კრე-  
ბის მოქალაქენისა; კრებამ უნდა მოილაპარაკოს სეტყვა-  
სთან ბრძოლის შესახებ.

ელისავეტოპოლის გუბერნატორმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, ქ. ელისავეტოპოლის, შუშის, ნუხის, ყაზახის, აქსტაფის, ძეგამის; ევლაპის და ლიკის მცხოვრებლებისათვეის.

1) სასტიკათ აკრძალულია ყოველნაირი ყრილობა ქუჩებზე, მოედნებზე, ქვაფენილებზე, ბაღებში, ქარეასლებში, რკინის გზის სადგურებზე და სხვ. საზოგადო წესრიგის და მშეოდობიანობის დასაზღვევათ; აგრეთვე აკრძალულია იმავ ალა-გებზე უკათ შეჩერება და ყრილობა.

2) պյուղագործության, մշամանելու մուտքային գործությունները կազմում են առաջարկային գործությունների մասը:

3) მეამბოხენი და ოგრეოვე გარეშე ხალხი ვალდებული არიან პოლიციის ბრძანებისათვალზე დაიშალონ; თუ ბრძანებას არ დაემორჩილენ, მაშინ პოლიცია მიმართავს სამხედრო ჯარს.

4) ამ დადგნილების დამრღვევნი მ-იცემიან პასუხის გებაში 423 სტ. ძალით.

5) ეს დალგვენილება შედის აღსრულებაში დღიდგანვე იმის გამოქვენებისა.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმარტველობას უთხოვნია რკინის გზის სამმარტველოსათვის გაეხსნას მას 1,500 მ., კრედიტი დაბა ყვირალაში რკინის გზის სასწავლებლის დასარსებლათ.

Հոգունց եմա ումուս, ծայրանի մռմացալու վլուս նաեւը ընդան ցամոցա ածալու ցանցու ՝“ծայր” ծ-ն լուցրանուս հրդայիւրանունուտ

რამდენიმე პირს განუზრახავთ ააგონ ლიც ჭიბუაშვილი (ქუთ.  
მაზ.) „სხილოს სახლი“, ხადაც მოათავსებენ წიგნთ-საცავ-და-  
მკოთხველოს და თეატრს.

၁၂၈၃၆၄

პოლიციას უკვე შეუპყრია ბოროტ მოქმედნი, რომელ  
პირველ თებერვალს თფილისის ჩვენის გზის სადგურზე  
არცენ სადგურის არტელჩიკი, ესენი ყოფილან ხოთველ  
ჭვილის მცხოვრებნი გლეხები: ორი ცომაა და ორი ხა-  
ია, ხოლო მცხუთეს ვინაობა, რომელიც იქმნა მოკლული  
დაცემის დროს, არა ჩანს.

ჭიათურის იაფ-ფასიან ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგებ  
ამ დღეებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ  
საზოგადოების გამგეობას მიმართა თხოვნით დატმარება გაუ-  
წიოს სამკითხველოს საჭირო წიგნების მიწოდებით.

გამ. „ჩერ. ვ.“ სიტყვით, კავკასიის სამოსწავლო ოლქის  
მზრუნველობა გამოუცხადა **ბათომის** ეპრაელთა რწმუნებულს  
ჩერეიკინს, რომ საერთო განათლების სამინისტრომ ნება დართო  
ბათომის საქალებო გიმნაზიაში ეპრაელთა შეიღების მიღების  
დროს არ იხელმძღვანელონ იმ კანონით, რომლის ძალით სა-  
სწავლებლებში ეპრაელთა განსაზღვრული პროცენტი შეიღება.  
ამრიგათ ბათომის საქალებო გიმნაზიაში მიიღებენ ბათომში  
მცხოვრებ ყველა ეპრაელთა შეიღებს, ვინც კი მოისურვებს.

## კორესპონდენციალი

თუ გლეხები ამგვარ შესაბამისი არიან გაროულნი, არც უსაქმით  
ბის მოტივია ვაჭპატონებს სინაუზ. გამოჩნდეს ზოგიერთი ჩარ-  
ჩები, რომელთაც წინ-დაწინ შეივიდეს დამუხადი ვაზები და შეიძ  
გაშეივის მაგიერათ სამშაგრათ და ამაზათ კიდიან თთო ძირს...  
არც ამაზეს შეუშინდებიან სოფლებულები, მარა ადარც ტემოსესენებულ  
ჩარჩებს რჩებათ ვაზები: ისინი ძლიერ მაღა ასაღებებს თავის საჭრ-  
ნაფს...

დიად! ამგვარი შესაბას გახდავს გაჩარჩული აქ, მეშაობას კო-  
ლექ გარეთ ამინდი ხელს უწევის. მაგრამ, თუ მამები ვენახშია მე-  
შაობენ, არც შეიღები რჩებიან მათ უკან, ისინი ხეხილები და სხვა  
სასარგებლო ხელის რგავენ ეზოში, რომ გაზაფხულზე აბრეშუმის  
ჭიების სტყმელი იქვე მზათ ქონდეთ, და ასე ეზოების აღამზა-აშვე-  
ნიერებენ.

\*) ამ სოფელში მიწათმოქმედების სამინისტროსაგან გუშენებული სა-  
ჩეოლე.

ში და ბაქტშიაც კი... ამიტომ ბა შპოლიასნების სრულიათ დოფ  
ადარ რჩება, რომ ჩვენს ბანქში იმოდგაწოს. ერთი სიტყვით, ბა ი  
შპოლიასნები მთელ წელიადს ბანქში თითქმის არ შედის, მშობლობის  
უკეთა საზოგადო კრებაზე თავისი „რისიანი“ მახსენებით მთელს  
საზოგადოებას „ხიბილავს“, და კრებაზე დიდი კაულობილი რჩება გამ-  
გეობის მოღვაწეებით... ხოლო ბანკის საქმეები კუს ნაბიჯოთ  
მადის წინ.

၁၂၃ၮ။

**დ. სონი.** ჯერ პადები წორჩ ხონის სამკითხველოს დღით-დღე ემატება შეითხველი საზოგადოება. ხონში მცხოვრებლებმა უკინებეს, თუ რა სასარგებლო დაწესებულების წარმოადგენს. სამკითხველო!

ამ უამთ ხენის სამკითხეველოდან საგმარის რიცხვები მიაქვთ თა-  
ვიანთ ბინებზე საკითხსთ სხვა-და-სხვა ქართული და რუსული წიგნა-  
ები, რომელთა რიცხვი ჯერჯერიც ბით არა აქვთ სამკითხევლოს სა-  
გმარისა. შექნილი, მაგრამ იმედია ამ ნაკლულებას მაღე შეგ-  
სებინ სამკითხევლოს მზრუნველი.

ან შემიძლია არ ადგინოთ სამკითხველოს ნაკლი. სამკითხველ  
ლო მთავარებელია შეა-გულ პაზარში საგაჭრო დუქნების შეა, რის  
გამო მოგაჭრე და მერიდელთა შროის ხმა-ძაღლა გამსართული ბასა  
ძალიან ხელს უშლის მკითხველებს...

ქ-ნი მარიამ ქუთაელაძე სამი თუ ათხი თვით უფასოდ ემსა-  
ხურებოდა უფასო სამკოთხეელოს, მით მას სატივი ცა მოედ სხნის  
საზოგადოების; ეხდა კი ეს ქალი სულ მცირე ფასში დათანხმდა სა-  
მკითხველოს შემდეგ შააც ემსახუროს. ბიბლიოთეკის გამგებ ძალიას  
უსახლოებების სამკითხველოს მდაბილ საფას. იმედია, ქ-ნი მარიამ ქუ-  
თაელაძე ისე მოჰქონდა შპოთხევლების, როგორც აქმდის ემზედა.  
რომ მით მკითხველი საზოგადოება სამკითხველოსკენ შაიზადიდს.

ილია ბახტაძე.

**ს. დიდი-ჯიხაშის.** დიდი-ჯიხაშის საზოგადოების დამასაქ  
ქერძო ქსენონი, ოთვლის შენახვა მს წლიურათ 3,705 მა. უფას  
სა. ეს ფულები უნდა განსწოლდეს 1,200 კომლზე. ქსენონში აქვ-  
ბას მუდმივათ ერთი ექიმი, თრი ფერშალი და ერთი ბებია-ქალი.  
ქსენონი მოთავსებულია საკუთარ შენობის აგებაშე სასოფლო სამ-  
მართველოს შენობაში, და ამ დღეებში დაიწყებს თავის მთ-  
ქმედებას. ეს ბირველი მაგალითია ქუთაისის გუბერნიაში და თუ-  
კარგათ გაუძლვებას ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულების დაწმუ-  
ნებული უნდა ვითო, სხვა საზოგადოებებიც მიაძვენ ჯიხაშედებ-  
და მაშინ ჩეკვა სასოფლო მედიცინს უფრო რაციონალურ გზას და-  
აღგებს, თორებ დღეს დღეობით ამაერ კავკასიაში, როგორც თვით-  
მთავრობის ანგარიშიდან ჩასხს, ის კერ არის მკვიდრ ხადაგზე დაუკ-  
ნებული. დიდი-ჯიხაშის ქსენონის დარსებაში დიდი დაწმუნებული  
შრომა მიუძღვით ექიმს ეჭვთომე ვაშაკიძეს და ადგილობრივ სკოლის  
მასწავლებლების.

Հիմ Հաջ Սոց Հայութաւուս և Հայութավան Տէղեա, Հագան Հայութ  
Վլատ Տօմոնեաւ և Հայութ Մէտաքալո Մըրա Մըրա Պատակ. Տէղա Տա-  
Տէղա Տատար Մըրա Մըրա Տէղա Տատար Տէղա Տատար Տէղա Տատար Տէղա Տա-

ჭირა და შემოსავალსაც გარგებს იძლევა, თუ არ არ დაეცი. კი სა  
სავ ისეთ ეზოს, რომ თუთის ხებით არ იქნას მოშენებული. დღისა  
აქ ბაზრობა თოხშაბათობით, გამოაქვთ თავიანთი. ნაწარმომართ  
ლის დედაპატიონის, რომლებისაც პირი ახვევული ჩქერ. ნაწარმომართ  
შორის თვალ-საჩინო აღგილი უჭირას შინაურ ფრინველების, კველის  
და ჰმერტების, ეს ჭახასტნელი გარგ ფისტი სადღება: ამ ერთი თვის  
წინეთ სამი იყიდებოდა შაურათ, ახლა კი თითო გაბიგათ იჯსაბას;  
აგრეთვე მრაქვთ შალები, ბამბა, ხილულებია და გარეშე სოფლებია  
დას მოფავთ სხვიდი თოხფეხი საქონელი. შეიღვევებია მეტ ნაწარ-  
ლათ კულაშები ებრაელები არიან, ამათვე მრაქვთ თან გასაყიდათ  
ფართლეულებია და საწერილმნები. ამ დღეს, თუ დარმა ხელი შე-  
უწეო, რო ათასზე მეტი ხადხი იურას თავებს და ხელი სოფელი ქა-  
ლაქს მოგაგონებს თავის ხმაურობით და ფაცა-ფუცათ. არ ტოვებენ  
უურადღებოთ ამ დღეს ტარიელ მკლავებიც და შექნება თუ არა  
შეადევ, მოფეხბას სმას. სამიკირნოებით, რომელთა რაცხვი აქ თცა-  
მდე ადის, ხალხით ივსება და იწევება გაუთავეველი „არალ-თარალო და  
მრავალ-ასამირი“, რასაც მოვალეობა ჩხერი და ლასხდება-გინება.

ამას წინეთ დაბინდებისას, ერთი შექმავებული შეღაფაძეთა გახა  
გამოცუდგა ასალ გაზდა სითბოს ქალს შეურაცელების მისაეკებლათ,  
მარა საბრალო მსხვერპლმა მორთო გულ შეტარავი გვირილი და  
შეშინებული რაინდიც იძულებული შეიქნა თავი დაეწებება. ამ  
ამბავს არავთარი მითქმა-მოთქმა არ გამოუწვევია ისე მათვუჩხეს.  
ასეთ ასათი შემთხვევაში არ არა იშევათა.

ორითდე სიტყვა აქაურ სამკითხველოზე. \*) ბევრ ადგილას  
მინახავს სოფლის სამკითხველოები, მარა ამისთანა უპაროონო სამ-  
კითხველის, როგორც დიდ-ჯიხაში შმა არ შექმნელივარ. მსოდნო  
წარწერა გამოწეობით, რომ აქ სამკითხველოა, თორემ ისე უძრავო  
ეკავს ბეჭდოებათ. თვალის მოსატევებლივ როითდე ქველი ნომ-  
რები განა. „ახალ შიმოს.“ აწევია მაგიდაზე, სხვა ქართული გამო-  
ცემები არ ჩანს, როგორ გვითხე გამგეს ამის მიზეზი, მოთხოვ:  
„მარშნ წ. პ. გ. საზოგადოების გამგება გვიგზავნიდა შურნიალ-  
გა ქუთხის თავის ხარჯით, წელს კი აღარ გამოგვიგზავნა, არ ვიცი  
რატომაც“. საკითხები წიგნების რიცხვი ასე არ ადემატება და  
ამას უძახას აქ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. საჭიროა, ადგი-  
ლობრივია ინტელიგციამ შეტი უკადება შააქციოს ბიბლიოთეკას,  
იზრუნოს მის გაუმჯობესებაზე და მკითხველთა რიცხვის გამრავლე-  
ბაზე. ამისთვის საჭიროა შეაჩვინო მასწავლებლებს ბაზები გამშე-  
ლივების გარდა სხვა წიგნების კითხვასაც, იზრუნოს საკითხა  
შემდინარებისათვის, და ბიბლიოთეკაც წარმატების გზას დადგინა.

8030650236

დილის ნიავო, იქროლე,  
ტანჯულ გულს მომესალბუნე  
შავ ბეღისაგან დევნილი  
მაკაცხლო გამომაბრუნე!

იქროლე, დილის ნიავო,  
გულს მომხვდი წმინდა, ანკარა  
ბელისგან დევნილს სიამე  
ეგიბ შენ მარჯო პატირა.

\*) შეიძლება შეკონტაქტირება შაბლონის, იფიქტოს, რომ  
რადგან ხშირად სოფლიდან მოწერილ კორესპონდენციები ისე არას მოი-  
წერებიან, თუ ბიბლიოთეკაც არ ახსენებს და ამ სტრიქონების დამწერიც წეს-  
ასრულებს, მარა, ჩემი აზრით, ახეთი საყვედური უსაფერგლოა, ვინაიდ-  
გან სამეცნიერო სოფელში ერთად ერთ ტალატურულ დაწესებულებათ ჩაი-  
თვლება და, თუ გსურთ შეიტყოთ რომელმე სოფლის გონიერივი შევლე-  
ლობა, დაუკირდიდთ ამ სოფელში ასებულ ბიბლიოთეკას და ის მოგცემი  
ამის პასუხს, თუ შეიძლება ასე ითქვას ბიბლიოთეკა თერიომეტრია: თუ ის  
უსაფერისათ არის მოწყობილი, იქ ხალხიც გამოდგინებულია.

იქროლე დილის ნიავო,  
ამოდი მზეო დილისა,  
ჭირიმე შენი ჩუქჩილის  
და განთიადის სხივისა!

დარია ხუნდამე.

## სამრესარო უკავი

(ისტორიული რომა 1841 წლის გურიის ცხოვრებიდან)

ეგ. ნინო შეილისა.

(განვითარება.—იხ. № 8).

გავიდა ათი-თორმეტი წელი გოგის, ანუ გიორგის, შეკლაში გაგზავნის შემდეგ. თავადი № № და მისი მეუღლე ამ დროს განმავლობაში ძლიერ მოხუცენ. იმათი ქალი, გულო, (ზატარაობის სახელი „გულო“ შემდეგაც აღარ მოაშორეს ამ ქალს, თუმცალა კი მას ნათლის სახელი სხვა ერქვა) ამ დროს განმავლობაში გასათხოვარი თექვსმეტ-ჩვილმეტი წლის შეიქნა. მაგრამ გიორგი ჯერ კიდევ არ ჩნდა. თავადი № № მანულოთ ხანდახან ღებულობდა მისგან წერილს, რომლიდანაც ჩნდა, რომ გიორგი რუსეთში იყო და უნივერსიტეტში სახელმწიფო ხარჯით სწავლობდა. „თუმცალა ძლიერ მესურვება თქვენი ნახვა, მაგრამ რა ვქნა? სანამ სწავლას არ დავასრულებ უნივერსიტეტში, მანამ არ შემიძლია წამოვიდე გურიაში. ნუ გეწყინებათ, ჩემი ძვირფასო მშობლებო. თქვენი შვილი გიორგი“. ესერა ყოველ წერილის ბოლოში. ბოლოს და ბოლოს თავად № №-ს და მის მეუღლეს იმდენზე გაუტეხეს ამ სიცყვებმა გული, რომ გადაწყვიტეს: «გიორგიმ შიგვატოვა, აღარ უნდა ჩვენთან ცხოვრება»-ო.

— ჩენ გულის ერთი ვინმე კაი თავადიშვილი შევრთოთ ქვერათ და ჩავაბაროთ ოჯახი, თვარა ჩენ ქან მოხეცულით და გიორგიმ ქე გვიღალატა, აღარ მოვიდა ჩვენთან, აღარ იკაღრა ჩენი შეილობა!

გულ-მტკიცნულით უთხრა ორ სამხელ თავადმა № № თავის მეუღლეს.

— ნუ დაუყრი ღორს მარგალიტსო, რომ იტყვიან, მართალი ყოფილა. გოგოს შეილი გავათავდეთ და იმის სამაგიეროთ აგი გვიქნა, სიბერის დღეს თვალითაც აღარ გვნახა.

უპასუხა ქმარს, გიორგის მოუსვლელობით საშინლით გულდამწვარმა ქალბატონმა №-მა და ბოლოს დაატანა: — ერთ-ორ წელს კიდე ცუყურით, იქნება ქე გავიხსენის გიორგიმ და თუ აღარ გავიხსენდებით, ოცმა კი მითხრა, შენი ქალიშვილის გულისთვის კვტებინ ქმარვილი თავადიშვილებით, გამოვარჩევ იმათში რომელიმეს და შევრთავ ჩემს გულოს. აგია, რომ სტავლილი კაცი მინდოდა სიძეთ და ვფიქრობდი გიორგი გამომიჩეეს მეტქი. ან კი და, ჯერ რა ეჩქარება გულის, წელი არ დასრულებია და გული!

თავადი № №-ს თაობიდანვე დაჩვეული იყო თავისი ცოლის რჩევაზე დათანხმებას და ამ შემთხვევაშააც დაეთანხმა მას, თუმცალა კი გიორგის მოსვლის აღარ მოელოდა.

თავადი № №-ს მეზობლებს ხომ კარგი ხნიდგან დავიწყებული ყავდათ. იმათ მხოლოთ გიორგის თფილისში წასელის შემდეგ ბევრი იქორიკანავეს: „გიორგი თურმე ვინცხა რუსს შეიყიდა თავის ბატონმა, ძაბან ფულები ეიორ თურმე, და სხვა, მაგრამ ერთ-ორ თვეში დაუმჯელდათ ეს ამბავი და შეცვალეს სხვა ამისგვარ საჭირიკანო საგანხე. ეს კი, რომ თავის ჭორიკანაობას ამსხვერბლეს საწყალი ვარსკვლავისა, რომელმაც, რა გაიგონა: „გიორგი სრულიათაც შეკოლაში არ გაუგზავნია თავის ბატონს, ფულზე მიყიდა რუსსო, სევდით ჯერ კეუიდან შეიშალა და შემდეგ სულ გამოეთხოვა ამ სიცოცხლის მჭამელ სოფელს.

ერთ დღეს გულო დილიდან მოწყებული სამსრობით არ მდე დატრიალებდა თავზე თვის დედას, რომელიც გულის წუხილით ავათ შექნილიყო. სამხრობის შემდევს ჭარბი მუშაქერებულის მიეკა. გულომ იხელთა დრო, გამოიტანა ჰარტჟუსტერის საყარელი წიგნი „ვეფხვის ტყაოსანში“, დაჯდა და ტკბილი ხმით, თითქო მღერისო, დაწყო კითხვა იმ ადგილიდან, სადაც იწყება ამ სატყვებით: „ამ საყარელი მიუწერ გულ ამოსკვნილი, მტრიალი...“. კარგა ხანს შეუსვენებლათ კითხულობ უა. დღე მიილია და ბინდის მოახლოვებაში შემოღომის მოწყენილ ბუნებას კიდევ უფრო მოწყენილი ფერი დასტო. გულო დაეთხოვა კითხვას და გაუშტერა თვალი გადაყვითლებულ არე-მარქს, რომლის მოწყენილმა შეხედულებაში გულის გული და სული ამ დროს მორთო სრულიათ საოცნებოთ. გულო ფიქრებით ერთ ხანს „ვეფხვის ტყაოსანში“ გამოხატულ სცენებში დაფრინავდა; მას ახლა თითქო თვალწინ უდევე: მიჯნურის დაკარგვის გამო მტრიალი ნეტან დარეჯანი, თავგანწირული ტარიელ და სხვა „ვეფხვის ტყაოსანში“ გამოხატული გმირები. ამ ოცნებიდან გულო გადავიდა თავის მკაფიობრივი უკავი და სხვა „ვეფხვის ტყაოსანში“ გამოხატული გმირები. ამ სულები გინახავსო. სულები! ნეტა ვაცოდე, სად წევიდენ მერე! ნეტა ერთი კიდევ მახვენა ჩემი მების სულები! გულის აქ რაღაც ისეთი უნებური მძლავრი სევდა მოწვა გულზე, რომ კინალამ ტირილი არ მორთო; მაგრამ ამ დროს გახსენდა ერთ დროს მის მასწავლებლათ მყოფი გიორგი; ის აქამდეც ხშირათ მისცემია მის გამო ოცნებას და ულაპარაკნია თავის ფიქრებში: „ჩვენი გოვი აღარ მოვიდა! უფა, რა ლაპაზი იყო! ნეტა ვა ახლა მაჩვენა, რა ნაირია! ეჭვიარ არის, რუსეთში ყოფნა სულ გამოცლიდა და გაარუსებდა! გულის ენახა მოხუცი, სამსახურში ჩამჭარტლიანებულ-ჩამტვერიანებული რუსები, მოპარსული, უსიამოენო პირისახით. ამიტომ ფიქრობდა, რუსეთში ნასწავლი კაცებიც უცხველათ ეგეთი იქნებიანო, და ამიტომ ენანებოდა გიორგის გარუსება. „მამამ ძალიანი ცუდი ქნა, რომ გიორგი რუსეთში გაგზავნა! ის რომ ჩენ ქვეყანაში გაზილებით, ნახავდით, რაც იქნებოდა!“ დიახ, გულო ხშირათ მიცემია ეგეთ ფიქრებს გიორგიზე, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარი ფიქრი მოუვიდა მას: შართლა, რა ამბავია, რომ გოგი ირ დაბრუნდა! მარა, უცხველათ ვინმე ქმარვილი ქალი შეიყვარებდა და იმან დაავიწყა ჩვენი თავი ვითომ რუსეთში არ იქნებიან ლამაზი ქალები თუ? იქაც აღამიანებია. დიახ, შეიძლება გოგი კიდევაც დაწყერა ჯვარი თავის საყარელზე! ის ხომ თავის დღეში აღარ გამოუშვებს მას ჩენ ქვეყანაში! უფა, რავა ეყვარებათ ერთმანეთი!“ სიყვარულის ხსენებაზე გულის კიდევ „ვეფხვის ტყაოსანის“ გმირება გაასენდა და დაიწყო ოცნებით, თუ როგორ მოეხვევოდენ ერთმანეთს ნეტან დარეჯანი და ტარიელი, როცა ეს შეყარებულები დიდი ხშირის განშორების შემდეგ ქაჯეთს ერთმანეთს შეხვდენ. ამ ოცნებამ ისე წალი გულო, რომ ის იყო ძილის მიეცემოდა, თუ რომ ამ დროს ჭისკრის ჭრიალი არ გამოეფხიზლებინა. ამ ჭრიალზე გულომ უცემ გაიხედა ჭისკრის და დაინახა, რომ ვიღია გარებული ქისკრის და დაინახა, რომ ვიღია გარებული ქისკრის კაცი ჩავისახოთ არ გაიდანოდა სამსახურის განმოვალის მიერთვის შემდეგ სულ გამოეთხოვა ამ სიცოცხლის მჭამელ სოფელს.

— ՚ՋԵՆ ՑԱՌՈՒՆԴԱ ՈՎՄ?

ამ გვარმა კითხვამ უცნობის კაცისა ისე შეაკრთო გულო,  
რომ მან სრულიათა(?) პასუხი ეყრ მოახერხა.

— კერ მიკანი? მე შენი ძვალ, გიორგი.

ამ სიტყვებისაგან გული მიხვდა, რომ მის წინ იჯა გო-  
გი, ის გოგი, რომლის ნახეას ისე გულ მხურევალეთ ნატრო-  
ბლენ ისა და მისი მშობლები. ქალმა სიხარულისაგან კაი მო-  
ზრდილი შეკივლა და გაექანა გიორგისკენ, მაგრამ, რაღა-  
ნაც დედისაგან გაეგონა: „გოგი უკანონო შვილი“ - , ვეღარ  
გაბედა მოხვევნა. გიორგიმ შენიშნა გულის სიმორცვევ, გა-  
დაწევია თვითონ, გარაკოცნა და უგეხრა:

— օ, ցյւլոն, հառաջենա զանազան! Հյու-թափա պուլուս?

— კოცხალია. სულ შენ გნატრულობდენ, რა გაუხარ-  
დებიან ახლა შენი მოსვლა!

უბასუხა გულომ და სიხარულით იღტაცებაში მოსულმ  
შეუძლვა გიორგის სახლში. ოვალი ჩემ დროს წ:მოწოლი  
ლი იყო. გიორგი რომ დაინახა, უცხო კაცი ეგონა და მოკრძა-  
ლებით წამოუდგა და ბოლოში მოიხადა.

— უკაცრავათ, ცოტა შეუძლოთ ვარ და ვიწევი. აგრძელები მეუღლეც ავათ არის.

— ვისთან იხთი, მამა, ბოლიშს, ვერ მიცანი შენი გიორ  
გი?

— გიორგი!

— შეილო, წვერიც იმოგსვლია, დაკაცებულხარ! რაღა  
გიცნობდი.

ამ სიტყვებით მოეხვია თავადი №№-ი გიორგის ყელზე  
ამ ლაპარაკზე გამოიღვიძა ქალბატონმა №№-მა და, რა დაინა  
ხა, გიორგი მოსულაო, სიხარულით კინაღავ გული არ წაუ  
ვიდა. თუმცადა ავათმყოფობისაგან ძლიერ დასუტებული იყო  
მაგრამ მაინც წამოდგა ლოგინიდან და მოეხვია გიორგის.

— შეილო, გიორგი, გული კი მითქმიდა მოხვიდოდი, ა  
დაგვივიწყებდი.

ყოველივე ამის შემდეგ, მგონია, აღარავის გაუკირდება, რომ გიორგიმ თავისი რუსეთიდან ჩამოსვლის მეორე დღესვე დაკითხა თავად №№-ს და მის მეუღლეს, თითქო ნამდევილი შვილი იყო მათი: — რას მეტყვით, მშობლები, საშახურში შევიდე, თუ სახლში დავრჩეო, და რა მოისმინა მათი რჩევა — საშახურში მყოფი ყმა და მამულს ვეღარ მოუვლი, ჩვენთან იცხოვრეთ, დარჩა თავადი №№-ის სახლში და თავის თავი თავადი №№-ის და მისი მეუღლის ნამდევილი შვილი ეგონა. მეტადრე ამის შესახებ გიორგის უცხოთ ხდიდა ის ყალბი მეტრიკული მოწმობა, რომელიც თავადმა №№-მა მოუპოვა მას შეოლაში გაზავნის დროს, და აგრეთვე ისიც, რომ თავისი შექმნა — შობის ისტორია ორავისგან არ გაეგონა. მართალია, გიორგის ახსოვდა, რომ ვარსკვლავისა ნაზის, დედობრივის სიუვარულით ეცყრობოდა მას, და «შვილი»-ს ეძახდა, აგრეთვე ახსოედა, რომ ვარსკვლავისამ მისი თფილისში წასვლის დროს ბეჭრი იტირა: «შვილო, მიდიხარო». მაგრამ ფიქრობდა: ვარსკვლავისა ძიძა იყო ჩემი, და რა გასაკეირვალია, რომ ძიძა ეუყვარდი და ჩემი მოშორება ეზარებოდათ. რაც შეეხება თავად №№-ს და მის მეუღლეს, ისინი ძლიერ ფრთხილათ იყვნენ და მეტადინობდენ, გიორგის არ გაეგო, რომ ისინი ნამდვილი შშობლები არ არიან. ყველა თავის გოგო-ბიქებზე დარიგება ქონდათ მიცემული: თუ ვინმებ გეითხოთ გიორგი ვინაობა, კახელი თავადი შვილია, ჩვენი ბატონის ნათესავი თქვა, უთხარით და გიორგის არ გააგებინოთ, რომ ის ჩვენ შვილი არ არისო.

აი, ბ. მკითხველო, რამდენიმე ცნობება ჩვენი როგორ  
გმირის, გიორგის, ვინაობაზე. გიორგის არსებობა მის სამშობლო  
გურიაში დღეს თითქმის სრულიათ დავიწყებულ მარტივი შემთხვევა  
გიეროთ რუსეთში კიდევ მოიპოვებიან ისეთი შეტყოფაზე რომ ეს  
ბიც ტკბილი მეგობრული გრძნობით გაიხსენებენ გიორგის. ის  
პირებია, რომლებიც ვიდრე 1840 წლის ზაფხულამდე მთელი  
ოთხი წლის განმავლობაში სწავლობდენ გიორგისთან ერთათ  
პეტერბურგის უნივერსიტეტში ბუნების მეცნიერების ფაკულ-  
ტეტზე. თუმცა-და კარგა დიდი ხანი გასულა მას შემდეგ, რაც  
გიორგი იმათ გამოეთხოვა და გამოემგზავრა კავკასიაში, თუმ-  
ცა-და მას შემდეგ ამათ ცხოვრებაში ბევრი რამ ცვლილება  
მოხდა, ბევრმა ცივმა და ცხელმა ქარმა დაპირა იმათ გულს,  
იმ დროს ჯერ კიდევ გამოუდელი, ყმაწვილური, ათასგვარი  
იმედებათ სავსე გული დღეს მოხუცებამ და მწარე გამოუდი-  
ლებამ გააგრილა და უიმედობით აღავსო, მაგრამ მაინც ეს  
მოხუცი რუსები, რა ერთმანეთს შეხვდებიან და თავის სტუ-  
დენტობას მოიგონებენ, მაშინვე გაიხსენებენ ერთ დროს იმათ  
საიმედო ამხანაგთ და მეგობრათ მყოფს, ნიჭით სავსე გიორ-  
გის, რომლის შესახებ აგრ ორმოც-და-ათი წელია, აღარა  
გაუგონიათ, ცოცხალია თუ მკვდარი.

V.

იმ ლამეს, როცა ბესია და მისი ამხანაგები რჩევის საკითხებით იყვენ მასთან, გიორგი დიღხანს იწვა ლოგინში ისე, რომ ძილი არ მოკიდებია. „აბა რა ბავშური განზრახვა მოსელიათ! აჯანყება ხუმრობა გონიათ იმათ, — ფიქრობდა ის, — დალუბავს ჩვენს გამოუცდელს ხალხს ეგ უგუნური განზრახვა! აბა ახლა ესაჭიროება მას კაცი, ახლა ესაჭიროება მას რჩევა — გაპირება. არა, არ შემიძლია იმას შორიდან გულ-გრილათ ვუურო, მე ვურჩევ ხალხს, რომ ევეთი უგუნური და დამღუცველი განზრახვა უარყონ და, თუ ეგ ვერ მოვახერხე, იმ შემთხვევაში ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ ჯანყის მიზანი შესცვალონ, ესე იგი ჩვენდა ხალხმა რუსებს კი არ გაუწიონ წინააღმდეგობა, არამედ — მონობას, ანუ ბატონ-ყმობას. დიახ, გლეხ-კაცობის განთავისუფლება, მისი მდგომარეობის გაუმჯობესობა უნდა ქონდეს მიზნათ აჯანყებას და არა რუსების განდევნა. ვინიცობაა საჭირო შეიქმნეს, მე უნდა მოვშორდე ჩემ მშობლებს და გავიდე ხალხში. მაგრამ ეგეც არ არის ნამდვილი საქედ! ვინ უნდა დაუუწოვო იმდეათ ჩემს მოხუც მშობლებს და ჩემს დას? ჩემს დას ისე ვუყვარვარვარ, რომ უეპველათ ჭკუიდან შეიშლება, მე რომ რამე ცუდი შემეთხვეს. არა, მართლა რას ნიშნავს ეგ უზომო სიყვარული ჩემი დის მხრით? როცა მიმზერს, იფიქრებ თვალებში ცეცხლი აენთოვო! ცუდ რამეს ხომ არ მოასწავებს სიყვარული? ვინ იცის, ყმაწვილი ადვილათ ჩავარდება შეცდომაში! მაგრამ, ეჭ, რაგვარი ახირებული აზრები მომდის! სულ ის ივანე იყო, თუ ვიღაც ბოროტი, იმისმა ცბიერმა ღიმილიანმა ლაპარაკმა აღმიძრა ეგ ახირებული აზრები. სახეზე ეტყობოდა, ივანე არ უნდა იყოს პატიოსანი კაცი. თამარამ სთქვა ბევრი ადამიანის სისხლი უძევს კისერშით. ახლა კი ხალხის მეთაურობას აპირებს, ეტყობა. ღმერთმა დეიფაროს! მე ივანეს სახეზე შევატყე, რომ ის ადვილ ა ჩადგება ხალხის დალატში... ალიონმა მოატანა. მამლებმა მოუხშირეს ყივილს. ბურუსათ აბლანდული ფიქრებისაგან მოქანცულს და თავ ატკენილს გორგის, უკანასკნელ ჩაეძინა. მაგრამ აქაც ვერ იყო მაინცა და მაინც მოსვენებით: ის ფიქრები, რომელიც სიფხიზლის დროს მოელ დამეს არ ასვენებდენ გიორგის, ძილის დროს მის განურებულ ტვინში ათასგვარ კარიკატულ სურათათ გადახინჯდენ და მოეხვიონ სიზმრათ.

ვათენებისას გულომ ჩეცულებრივათ აღრე გაიღვიძა, და-  
იბანა ხელპირი და ლაიტყუა სეირნობა თავის სახლის ჭინ, ბე-

ლუკებზე. ხანდახან ის შეჩერდებოდა იმ ოთახის წინ, რომელ-  
შიც გიორგი იწვა და დაუწევებდა კარებ მზერას. კარგა ხანს  
დადიოდა გულო ბალკონზე, მაგრამ შეძლევა, რა მაისის მზემ  
მაუცხუნა ბალკონს, ის შეპრეზდა სახლში, სადაც ის იყო,  
დეგბოდენ ლოგინიდან იმისი მშობლები, რომელებს ძილის შე-  
ძლევა უფრო ემჩერდათ მახუცებულობა, თვალები შესახარათ  
ქონდათ ამოსველებულნი, პირისახე სისხლისაგან დაწრეტილი  
და სხვა; ხველა ხომ დილ-დილობით აღარ ასევნებდა ამ პა-  
ტივუმშულ მოხუცებულ ცოლ-ქმარს თავიდებს. «პირის ფარე-  
შმა» (გოგომ) მოკრძალებით მოართვა თავის ბორცული გონიერების  
წყალი, დააბანინა ხელ-პირი და შემდევ კითხა:

— ბატონო! ჯერე გვიბრძანებ ჩაის მორთმევას?

— გიორგი ხომ ადგა?

კითხა თავის ასულს თავადმა №№-მა.

— არა, მისი ოთახის კარები ჯერ კიდევ დახურულია.

უბასუხა გულომ, რომელიც ამ დროს სტოლთან იჯდა  
და ფურცლიერდა „ვეფხვის ტყაოსანს“.

— ვაკო! სხმის არ დაგართია ავი, აფათ არ იყოს?

თქვა გულოს დედამ, რომელმაც, ის იყო, დაასრულა  
ლოცვა ღვთის მშობლის ხატის წინაშე, რომელიც თავადი  
№№-ის სახლში ეკიდა კედელზე აგერ ექვსი წელი იყო.

— გულო, შედი, შეიტყვე, — უთხრა თავადმა №№-მა თა-  
ვის ასულს და შემდევ უბრძანა გოგოს:

— გიორგის ადგომამდე ჩაი არ შამოიტანო.

გიორგის ოთახი იყო ზალიდან მარჯვნივ, ასე რომ წინა  
კარები და ერთი ფანჯარა ამ ოთახისაგამოღორცენ ბალკონში,  
მესამე ფანჯარა კი გაყურებდა ვენახიანი ხებით და ხენილე-  
ბით მორგულს ვაკე მიღამოს, რომლის გვერდზე მიზრნარეო-  
ბდა გვარიანი მოზრდილი რუ. ეს მესამე ფანჯარა თითონ გი-  
ორგიმ გამოაჭრევინა რუსეთიდან დაბრუნების შემდევ, რაღ-  
აც როთაში ბნელოდა და წერა-კითხა შეუძლებელი იყო.

გულო მივიდა ოთახის კარებთან, რომლებსაც გიორგი არას  
დროს არა კეტდა, ცოტა ხანს გაჩერდა, შემდევ ნელა გააღ-  
და შევიდა შიგ ოთახში და კარები ხელისხმათ დახურა. გიო-  
რგის ჯიბის საათის ტაკ-ტუკი და მძინარე გიორგის ნელი

სულის-თქმა ალვიძებდენ როთას ყუჩის ჭარეს. გენაცვალე, ძი-  
ნავს და პირზე სიწითლე აჩნევია! — დაიღიაბარაკა გულომ თა.

ვის გულში, რა დაინახა მძინარე გიორგი, — ეტყობა ტკბილ  
სიზმრებშია, საკარელს ჰქონდას. ნეტა ვინ არის ის ბედნი-  
ერი? ცოტახანს გულო ფეხზე იყო გაჩერებული და ისე და-  
ყურებდა მძინარე გიორგის, რომელსაც საზაფხულო, თხელი

საბანი ცოტათი გადასძრობდა და თოვლიერით თეთრი მკე-  
რდი შიშვლათა ჰქონდა, შემდევ ქალი წყნარათ ჩამოჯდა გიორ-  
გის კრავატის კიდეზე, დაიხარა და სამჯერთუნის თანთან აკოცა

გიორგის მკერდზე. გიორგი ამ კოცნაზე ცოტათი შეინძრა,  
მაგრამ კი ვერ გაიღვიძა. გულო იჯდა და ისევ, ისევ დაყუ-  
რებდა მას. კაშკაში სინათლე, რომელიც შემოდიოდა თე-  
თრი ფარდებით დახურვილ ფანჯრებში, საკმაოთ ანათებდა

გიორგის პატარა ოთახს, რომელიც ისე იყო წიგნებით გა-  
ვსებული, რომ ბიბლიოთეკა გეგონებოდათ; ღმერთო, კიდევ  
ვერ გაიღვიძა! წამოილაბარაკა წყნარათ გულომ, ხელისხმა  
დაირჩა და აკოცა გიორგის შიშვლა ყელზე. მძინარე გიო-  
რგიმ მაშინალურათ ილო მარჯვენა ხელი და მოისო ყელზე,

სწორეთ იმ ადგილას, სადაც გულომ აკოცა, და შემდევ მო-  
იდომა ხელის იმავე ადგილას დადება, სადაც უწინ ედო, მა-  
გრამ მძინარეს შეცომა მოუვიდა და მის მაგიერათ ხელი გა-

დმოკიდა ლოგინიდამ ძირს. „ვამე!“ წამოიძახა გულომ ნა-  
ხევარი ხმით, ილო წყნარათ გიორგის ხელი და დაიკავა ხელ-

ში. ამ დროს გულოს იქ უცემდა გული, ისე აერეოლებდა  
სხულში, სხვ ისე გავითრებული ქონდა, ისე ეშინოდა, რომ

შეგეხედა, იტყოდი: ეს ქალი იდამრანის მკვლელობას უნდა  
ჩადიოდესო. მართალია, გულო იმ დღემდეც ხელზე უშესეული  
დილით გიორგის ოთახში, მაკრამ იმ დღეზე დაუშენებულ გა-  
თვის გალვიძებული დახვევებიდა მას, ან გულოს შევლისთა-  
ნავე გალვიძებდა; იმ დღეს კი, თითქვა გარგებ, მის გამოსა-  
ცდელათ მისცემოდა ლრჩა ძილს. იმისი ხშირი, ხუჭუჭა, შავი  
თმა ეყარა თეთრ-პირიან ბალიშებ; იმისი ლამაზი, სწორი სა-  
ხე ძილის ღროს კიდევ უფრო ვალამაზებულ-გასხვივანებუ-  
ლიყო. ხან და ხან თითქვა რალაცა თქმა უნდაო, ის აცმა-  
ცუნებდა თავის თხელს ტუჩებს. „მაშინ კი ჩენენშაც ეშე-  
ლება გლეხებს. ჩემი აზრი ეს არის“. გარკვევით წამოიძახა  
მძინარე გიორგიმ უკანასკნელ. «შენ გენაცვალე, წაბაბდევა!»  
სთქვა გულომ და მესამებელ აკოცა მძინარე გიორგის, მაგრამ  
ამ უკანასკნელნებელ კი იმისი ტუჩები ამოირჩა ამ უკანასკნე-  
ლმა კოცნამ გააღვიძა გიორგი.

— რას შვრებათ, გულო! ბავშვი ხომ არ ვარ, რომ მკო-  
ცი?

წყენის კილოთი უთხრა მან გულოს.

— შეგეზიზლა ჩემი კოცნა! მომიტევეთ, შეძლევ აღარ გა-  
ვბედავ.

